სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

03 აგვისტო 2026

N 21/11199

შპს „ალტერვეისტს"
მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟაფშაველას გამზირი N47,
კვარტალი I, კორპუსი 2, სართული 5, ბინა N56
ელ.-ფოსტა: Iraneb70@gmail.com
ტელ: 577202821

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 18/05/2026 წ. N7290 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (ქ. რუსთავში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში, დ. გარეჯის ქუჩა №28, რომლის საკადასტრო კოდია: ს/კ 02.07.02.673. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „სანიტარის" საკუთრებას, რომელსაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე განკარგავს შპს „ალტერვეისტი". ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერში არ ფიქსირდება შპს „ალტერვეისტის" მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება. "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებების (იჯარა, ქვეიჯარა და სხვა) საფუძველზე შესაბამისი უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ვინაიდან, წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაურკვეველია, აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი საჭიროებს დაზუსტებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოდგენილი უნდა იყოს განახლებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. ამასთან გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ,,ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი გადაცემულია ქვეიჯარით და იგი გამოიყენება მწყობრიდან გამოსული მოწყობილობების სასაწყობედ". აღნიშნული ტერიტორია ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილებში, ხოლო SHP ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს პოლიგონური ფორმით;

ბ) ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მავნე ნივთიერებათა დაანგარიშების ნაწილში გამოყენებული მეთოდური მიდგომა, რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია გაფრქვევები რეზერვუარში ნარჩენი ზეთის შენახვისას მცირე სუნთქვის პროცესის გათვალისწინებით, საჭიროებს დასაბუთებას/დაზუსტებას მეთოდური მითითების შესაბამისად და განახლებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოში წარმოდგენას;

გ) გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცხრილში წარმოდგენილი ნარჩენების კოდების მიხედვით წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 10 000 ტონას, ხოლო დარჩენილი 2 000 ტონა განაწილდება სხვა ნარჩენი ზეთების კოდებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნარჩენების კოდები ანგარიშში მითითებულია, არ არის განმარტებული, რა საფუძველზე და რა პრინციპით განხორციელდა დამატებითი 2 000 ტონის განაწილება აღნიშნულ კოდებს შორის, შესაბამისად არ არის სრულად წარმოდგენილი შესაბამისი რაოდენობრივი განაწილება. აღნიშნულის გამო ვერ ხერხდება 12 000 ტონა/წლის საპროექტო წარმადობის რაოდენობრივი დასაბუთების სრულყოფილად შეფასება. მიზანშეწონილია, ანგარიშში განმარტებული იყოს აღნიშნული მოცულობის განაწილების მეთოდოლოგია და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი რაოდენობრივი განაწილება ნარჩენების კოდების მიხედვით. ამასთან, დასაწყობების უბანი უნდა შეესაბამებოდეს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დ) საქართველოს რკინიგზის ცნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის საკმარისი დაგეგმილი პროექტის სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესაფასებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებლის მიერ სს „საქართველოს რკინიგზა“-ში სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზეგავლენის თაობაზე, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენამდე, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს თანხმობა ხსენებული პროექტის განხორციელებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და საქართველოს რკინიგზასთან შეთანხმების შესახებ შესაბამისი ინფორამციის წარმოდგენას;

გთხოვთ, ზემოაღნიშნულის შენიშვნების გათვალისწინებით, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. კორექტირებული დოკუმენტის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს თქვენი 18.05.2026 წ. N7290 განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11199-21-2-202608031324

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE